2/4/2

1964 იანვარი

ყანწი

№1

„სწავლა, სწავლა და სწავლა.“

ვ. ი. ლენინი

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი დაიბადა 1870 წლის 22 აპრილს ქალაქ სიმბირსკში (ახლა ულიანოვსკი).

5 წლის ვალოდიამ უკვე წერა-კითხვა იცოდა, ბეჯითად კითხულობდა საბავშვო წიგნებსა და ჟურნალებს, ზეპირად სწავლობდა ლექსებს.

ვალოდია ცხრა წლისა იყო, როცა გიმნაზიაში შევიდა.

იგი მონდომებით და ადვილად სწავლობდა. მას შესანიშნავი ნიჭი ჰქონდა, მუდამ ყურადღებით უსმენდა კლასში გაკვეთილის ახსნას. ყველა საგანში ხუთიანს ღებულობდა. კლასიდან კლასში პირველი ხარისხის ჯილდოთი გადადიოდა. გიმნაზია რომ დაამთავრა, უკვე კარგად იცოდა ლათინური, ბერძნული, ფრანგული და გერმანული ენები.

ლენინი მუშებისა და გლეხების მეგობარი და ამხანაგი იყო, ამიტომ მუშებსა და გლეხებსაც ძლიერ უყვარდათ ლენინი, მემამულეებსა და კაპიტალისტებს კი სძულდათ იგი.

მეფის პოლიცია ხშირად აპატიმრებდა და ციმბირში ასახლებდა ლენინს, იმიტომ რომ, ის სიმართლისათვის იბრძოდა. ლენინს უნდოდა, ყველას, ვინც შრომობს, კარგად ეცხოვრა.

ლენინმა მთელი თავისი სიცოცხლე მთლიანად შესწირა კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლებისაგან მუშათა და გლეხთა განთავისუფლების საქმეს, სოციალიზმის აგების საქმეს.

1924 წლის 23 იანვარს ლენინი გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელი ცოცხლობს ჩვენი მშრომელი ადამიანების გულში, ჭკვიანი და შრომისმოყვარე ყველა ნორჩი ლენინელის გულში.

მაღე მოდი, გაზაფხულო

23 იანვარს 40 წელი სრულდება, რაც ნორჩ პიონერთა ორგანიზაციას ვ. ი. ლენინის სახელი მიეკუთვნა. ამ სამახსოვრო დღის აღსანიშნავად ჩვენი ქვეყნის პიონერთა რაზმები ერთმანეთს ეჯიბრებიან.

ოქტომბრელებმა პიონერებს მიჰბაძეს, ისინიც ჩაებნენ შეჯიბრებაში. პიონერთა ოთახის კედელზე ახლა ოქტომბრელთა ალამიც ჰკიდია. მას საზეიმოდ გადასცემენ ოქტომბრელთა იმ ჯგუფს, რომელიც კარგ საქმეს გააკეთებს.

შემოდგომის თბილი დღე იყო. სოფელ ივანდიდის მეორეკლასელი ოქტომბრელები სკოლის ეზოში კლასობანას თამაშობდნენ. უცებ ტრაქტორის ხმა მოესმათ. გაუკვირდათ პატარებს: ტრაქტორს აქ რა უნდაო. —თამაშობა შეწყვიტეს და იქით გაიქცნენ.

ალექსი ბიძიას თუხთუხით დაჰყავდა ტრაქტორი მინდორში. უკან კი—გადაბრუნებული მიწის დიდი კვალი რჩებოდა.

— აქ ჩაის დავთესავთ, მალე ახალი პლანტაცია გვექნება. — უთხრა ტრაქტორისტმა ბავშვებს.

ლალის გაახსენდა, რომ შარშან პიონერები ჩაის თესლს აგროვებდნენ. ეშმაკურად გაეღიმა და ამხანაგებს მიუბრუნდა:

— მოდი, ახლა ჩვენ შევაგროვოთ თესლი!

— შევაგროვოთ!—დაიძახა ყველამ.

მეორე დღეს ლალი და მისი მეგობრები

9368

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზოში არ ჩანდნენ. უკვირდათ დედებს, უკვირდათ მამებს, ნეტავ სად არიან, სად თამაშობენო?!..

პატარები კი არ თამაშობდნენ, ისინი ნელ-ნელა მიჰყვებოდნენ ჩაის ბუჩქებს და პატარა კალათებში ჩაის თესლს აგროვებდნენ.

იცით, რამდენი შეაგროვეს?—ძალიან ბევრი—ასი კილოგრამი! რომ იცოდეთ როგორ გაეხარდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, კოლმეურნეებს!... სულ მალე ბავშვების შეგროვილი თესლი ახალდახნულ ნაკვეთზე დათესეს.

ახლა ზამთარია და მისი მეგობრები ხშირად დადიან ტყის პირას და გაჰყურებენ გრძელ, სწორ კვლებს.

აი, მოვა გაზაფხული და მათი შეგროვილი თესლიდან მიდამო ჩაის ნერგებით მოიქარგება. მაშინ ყველა იტყვის:—ეს ოქტომბრელთა პლანტაციაა.

მაშ, მალე მოდი, გაზაფხულო!

პაზარეგის სიხარული

დიდ დასვენებაზე პატარებთან ხელმძღვანელი შევიდა და შეეკითხა:

— გინდათ, ბავშვებო, პიონერებს დაეხმაროთ?

აბა, ვინ იტყოდა უარს, ყველა ფეხზე წამოხტა.

— ჩუმად, ჩუმად,—დააწყნარა ხელმძღვანელმა,—გაკვეთილების შემდეგ სკოლის სახელოსნოში მოდით.

ოქტომბრელებს ბევრჯერ შეუხედავთ სახელოსნოში, შორიდან მოსწონდათ ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ოქტომბრელები

ლაფერი: ხერხიცა, და შალაშინიც. ახლაც სიხარულით გასწიეს იქით.

მაგიდაზე უამრავი თოჯინა დაინახეს. ზოგს ხელი ჰქონდა მოგლეჯილი, ზოგს— ფეხი, ზოგსაც კაბა შემოხეოდა.

— ეს საბავშვო ბაღლებისაა, უნდა შევაკეთოთ, მოდით, მოგვეხმარეთ!—თქვა ხელმძღვანელმა.

პატარებიც დატრიალდნენ. მზია და ნანა კაბებს უკერავდნენ დედოფალებს, თინა აუთოვებდა, ბიჭებმა მავთულებით ხელ-ფეხის დამაგრება დაიწყეს.

— აი, ასე! — ასწავლიდნენ პატარებს პიონერები.

შემდეგ ლალიმ თოჯინებს კოხტად დაუვარცხნა თმა და თაროზე ჩამოამწკრივა. გალამაზდნენ ყველანი.

მეორე დღეს ოქტომბრელებმა თოჯინები საბავშვო ბაღში წაიღეს და პატარები გაახარეს.

მურამ ბახტაძე
ნახატები რ. ცუცქირიძისა

ღირსშესანიშნავი თარიღები

გაიგე, რატომ აღნიშნავს საბჭოთა ხალხი

8 მარტს 9 მაისს

22 აპრილს 7-8 ნოემბერს

1-2 მაისს 5 დეკემბერს

როგორც დიდ დღესასწაულებს

„ოქტომბრელები პიონერები

.“

(ოქტომბრელთა ფსალმანიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთრის დილა

გივი ძნელაძე

ე ბიჭო, თოვლი მოსულა,
გარეთ გამოდი ეელაო;
ციდან ფიფქები მოცვივა
ბროლივით ქათქათელაო;
წელში მოხრილან ხეები,
ქარი უბერავს ქვენაო,
ჩიტები მიწას ეძებენ,
შეუწუეტიათ სტვენაო.
მურია თოვლზე ბურსალობს,
გადმოუკდია ენაო,
რამ გაახარა ნეტავი
ეს ჩვენი მურიეელაო.
ე ბიჭო, ძილი გეეოფა,
გარეთ გამოდი,ეელაო,
თოვლია, მაგრამ რა თოვლი
ბროლივით ქათქათელაო.
თოვლის ბაბუა წამოვდეი
ჩვენი ბაბუას ხელაო,
ბოხოხი გამოუტანე,
შე ძილისგუდავ, შენაო!

გოზინაყი

გივი გეგეჭკორი

დედა ნამცხვარს გამომიცხობს,
ცომი უკვე მოზიდა.
ბებო ნიგოზს წვრილად დაპრის,
გამიკეთებს გოზინაყს.
სუდ თოჯინას ვერ მივართმევ,
ჯერ—მე, მერე თოჯინას!

ნახატი ზ. ფორჩხიძის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავაუ, ფისო

ლეილა ერაძე
(რუსულიდან)

მეორეკლასელ მარინეს ეზოში სკამი ჩაეტანა, ზედ დამჯდარიყო და წიგნს კითხულობდა. მასთან პატარა გია მივიდა. გოგონა წამოდგა და სკამი ძმას დაუთმო.

სამსახურიდან მამა დაბრუნდა თუ არა, თკალი მოჰკრა გიას. გია მამას ყელზე შემოეხვია და მერე თავისი სკამი შესთავაზა.

ახლა ეზოში დედა გამოვიდა. მამამ სკამი დედას მიაწოდა.

ის იყო სკამზე დედა ჩამოჯდა, რომ კიბეზე ბებია გამოჩნდა.

— მოდი, დაჯექი ჰაერზე, —უთხრა დედამ,—დაღლილი ხარ, დაისვენე!—ბებიაც დაჯდა, მაგრამ ქურაზე დადგმული რძე გაახსენდა და სწრაფად წამოდგა.

— უი, უი, რძე არ გადმომივიდეს!— თქვა და სახლისაკენ გაეშურა.

ყველა იქით გაიქცა.

ამ დროს სკამზე ზმორებით ავიდა ფისო და ზედ არხეინად მოიკალათა.

დაბრუნდნენ ეზოში: მარინე, გია, მამა, დედა და ბოლოს ბებოც.

კატა კი იწვა და უდარდელად კრუტუნებდა, ყურადღებასაც არავის აქცევდა.



— ადექი, ფისო, რა უწესო ხარ!—ეუბნებოდა გია და კატის უზრდელობა უკვირდა.

ნახატი ბ. როინიშვილისა

ბულბული და ყურდღელი

იგავი

— რა ფესანიფნავი სმენა გაქვს! ჯერ ასეთი ოოწაფე არ ფემახვედრია.—უთხრა ერთხელ ბულბულმა ყურდღელს.

— ჩემი უგედურებაც ის არის, კარგი სმენა მაქვს,—დაიწუწუნა ყურდღელმა,—უბრალო ფაჩუნიც კი ისე ამიკანკალებს ხმას, რომ...

(დანარჩენი ამ ნახატებიდან ამოიკითხეთ. თვითეული ნახატი—თითო ასოა: სპილო—„ს“, იხვი—„ი“. მერე?!)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანზე მოვიდა გოლაო, ისევ განაგრძო წოლაო!

ნინო ბეზარაშვილი

ბარეთ სტვენა გაისმა. ზაზამ თამაშს თავი მიანება და ფანჯარას ეცა. ეზოში მეზობლის ბიჭი იდგა და უსტვენდა. ზაზა მაშინვე გარეთ გავიდა და ბიჭთან მიირბინა.

— დათო, რით უსტვენ, თითებით?

— თითებით არა, ბიჭო, აი, რა მაქვს!—მან ხელი მაღლა ასწია და კურკა დაანახვა. კურკას წვერზე ნასვრეტი ეტყობოდა. დათომ ნასვრეტს ტუჩი მიადო და უფრო ხმამაღლა დაუსტვინა.

—რა კარგია! სად იყიდე?—ჰკითხა ზაზამ.

— არ მიყიდია, ჩემმა ძმამ მაჩუქა. თვითონ გააკეთა. მგონი ჰერმის კურკისგან აკეთებენ, ეს კი ქლიავის კურკაა.

— აბა, მაჩვენე, თუ დავუსტვენ!—სთხოვა ზაზამ.

— არა,—თქვა დათომ.—ერთ სასტვენს ერთი უნდა უსტვენდესო,— ჩემმა ძმამ ასე მითხრა.

ზაზას ხმა არ ამოუღია. გაბუტულივით გაბრუნდა და ბაღში შევიდა. ბაღში ქლიავისა და ჰერმის ხეები ბღომად იდგა, მაგრამ ნაყოფს ვინ ჩიოდა, ფოთოლიც აღარ შერჩენოდა. სუსხიან ქარს მთლად გაეტიტვლებინა ხეები. ბიჭმა სცადა ფეხით აქეთ-იქით გადაეწია ხეების ქვეშ დაფენილი ფოთლები, ეგონა კურკას ვიპოვნო, მაგრამ ფოთლები ისე იყო შეყინული მიწაზე, რომ არაფერი ჩანდა.

ბიჭი შინ შევიდა და ბებიას ჰკითხა:

— ბები, თოვლი რადის უნდა მოვიდეს?

— რა ვიცი, შვილო, იქნებ სულაც არ მოვიდეს.

— მერე, ბები, შენ რომ თქვი...

— რა, შვილო, რა ვთქვი, თოვლი მოვა-მეთქი?

— არა, გახსოვს, ჩირი რომ შეინახე, ასე თქვი: „სანამ თოვლი არ მოვა, არ გაპმევთო“...

ბებიამ გაიცინა და კარადიდან ჩირით სავსე პარკი გამოიღო.



ალვენი

— აჰა, შვიდო, თოვდი იქნებ სუდაც არ მოვიდეს, ჰამე, რამდენიც გინდა!

პარკში ათასნაირი ჩირი იყო. ზაზამ არჩია, არჩია და შავი ქლიავის ჩირი ამოარჩია; კურკა გაასუფთავა, წყლით სავსე ჭინჭილას დაავლო ხელი და გარეთ გაიჭრა. ღობესთან მარგილის ძირას ჩაგდებულ დიდ ქვას წყალი დაასხა და კურკას წვერიდან ხეხვა დაუწყო. ცივმა ქვამ ბიჭს თითის წვერები გაუყინა, მაგრამ თავი არ დაანება საქმეს, სანამ კურკა არ გაიღია ხეხვით და ნასვრეტი არ დაემჩნა.

ზაზამ კურკა ყურთან მიიტანა, გააჭანჭყარა. შიგ კურკის გული ხმაურობდა. ბიჭმა ღობიდან წკირი გამოტეხა, გული ჩაფხვნა, ამოასუფთავა, მერე ტუჩზე მიიდო და ჩაბერა. უსტვინა, უსტვინა ზაზამ, მთელი ეზო სტვენით შემოირბინა და მერე ბებიასთან მივიდა:

— ბებო, შეხედე, რა გავაკეთე ქლიავის კურკისაგან, აი, როგორ უსტვენს! — ჩაბერა ბიჭმა კურკას და დაუსტვინა.

— ვიცი, შვილო, მესმოდა გარეთ რომ უსტვენდი. შინაც რომ უსტვინო, ყურთასმენა აღარ იქნება, ისედაც თავი მტკივა.

ბებიას თავი მართლაც ხშირად სტკიოდა ხოლმე, პატარა ხმაურიც კი აწუხებდა.

ზაზა ცოტა ჩაფიქრდა და მერე ბებიას უთხრა:

— არა, ბებო, შინ აღარ დავუსტვენ. ბიჭები მინდორზე ბურთს რომ ითამაშებენ, იმათი მსაჯი ვიქნები და მაშინ გამომადგება.

ბიჭმა სასტვენი შარვლის ჯიბეში შეინახა.

ნახატი დ. ერისთავისა

ზღვაჲ

ოთარ ჭილაძე

ლათვი მუცელს იფხანს თათით,
დილიდანვე უცდის სადილს.
„რა თქმა უნდა, ტუეში ჯობდა:
წაბლიც მქონდა,
თაფლიც მქონდა...“—
ალბათ ასე ფიქრობს დათვი
და თან მუცელს იფხანს თათით.

ისევ ღამეს ელის მგელი,
ისევ ერთი მიზანი აქვს:
თავს კი ასე ინუგეშებს:
ვნახოთ... იქნებ სიზმარია.

—შენ ვიღა ხარ?
— ფოცხვერი.
— როგორა ხარ?
— რა მიშავს.
— მაინც, მაინც?
— მოწყენილი.
— რა გინდა?
— რა მინდა და... გაძიშვან.—

ხვარე ზებრა არც უეურებს
საწყალ ირმის ხრიოკ ეზოს
და თან ისე იბუტება,
თითქოს ძალით შეღებესო.

მთელი ქვეყნის გაოცებას
ცდილობს სპილო.
ბავშვები კი აბრაზებენ:
— სპილო-წვრილო!—
ისე მოდის ბეჰემოთი,
თითქოს იცის, რისთვის მოდის.

ეს კი ჩვენი ნიანგია,
მკვლელი მდგ'ური თბილისის.
ერთხელ კუდიც შეარხია;
შარშან-
წინის-
წინის-
წინ.

კენგურუ სწრაფია,
როგორც ენგური,
ენგურო უნდა ერქვას
კენგურუს.

არც შეხედა სტუმრებს. წერომ:
— არ მცალია,
ლეკსებს ვწერო.—
დაუწყვია ზურგზე ფრთები,
მზეზე თბება.

ძირს ურია:
სვავები,
ქორები,
არწივები,
როგორც დამსხვრეული ტანკის ნაწილები.

ფარშევანგი არც ერთს არ ჰგავს:
დადის,
ფიქრობს,
დროს არ კარგავს.
— ახლა ასე ვიდა იცვამს!—
უკვირს ციცარს.
ლომს კი სძინავს
და მძინარეც
ეკვილა მსეცზე ლამაზია.
არც ბუხუნობს,
თუმცა ბუხუნს
გალიაში რა ფასი აქვს!

ნახატები ვ. მელიქიშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატები თ. მირზაშვილისა

ყოჩაღი ბაკურისა და ქილიბაღის ზარმაცების თავგადასავალი

ამ ზღაპარმა ჟურნალ „დილის" მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და მიიღო პირველი პრემია.

დავით ჯავახიშვილი

ზღაპარი

ქ, სადაც დღეს დაბა ბაკურიანია და პატარა გუფულიმატარებელი მხიარულად დაგუგუნებს ალმართ-დალმართ, ერთ დროს არ იყო არც სოფელი, არც რკინიგზა. იყო მხოლოდ უღრანი, წიწვიანი ტყე და არავინ ცხოვრობდა შიგ, გარდა მგლებისა.

დაბლა კი, ბარში, სადაც არც ალმართია და არც დალმართი, ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდა ხალხი. სოფელს ერქვა სასაცილო სახელი—ფაფა. ეს იმიტომ, რომ თოვლის მაგივრად იქ ტკბილი და გემრიელი მანანის ფაფა მოდიოდა. ნამდვილი თოვლივით იდო ხოლმე ფაფა გზებზე, ეზოებში, სახურავებზე. არავინ იწუხებდა თავს საჭმლის საშოვნელად ან მოსამზადებლად და ამიტომაც ისეთი ზარმაცები ცხოვრობდნენ ამ სოფელში, ისეთი ზარმაცები, რომ ძილისა და ჭამის გარდა ყველაფერი ეზარებოდათ. ყველას ჰქონდა ხის დიდი კოვში და ჭამის დროს ყველა ცდილობდა ყველაზე უფრო დიდი პირი დაეღო. მუდამ პირდაუბანელები და თმაგაბურძგნულები იყვნენ; აჩაჩულ-დაჩაჩული, დაგლეჯილი ტანსაცმელი ეცვათ და როცა არ ჭამდნენ—ეძინათ, როცა არ ეძინათ—ამოქნარებდნენ, როცა არ ამოქნარებდნენ—იზმორებოდნენ.

ერთმა ზარმაცმა ბუზღუნიც იცოდა და ბუზღუნასაც ეძახდნენ, მეორე სულ ბურდღუნებდა და ბურდღუნა-ზარმაცი ერქვა, მესამე ყველაფერზე წუწუნებდა და სახელადაც წუწუნა შერჩა, მეოთხეს ტირილი ეხერხებოდა და მტირალა-ზარმაცად იყო ცნობილი.

ერთიმეორეზე უარეს ქოხებში ცხოვრობდნენ ისინი. ბუზღუნას ჭერი ენგრეოდა თავზე, ბურდღუნას იატაკი ეყრებოდა ფეხქვეშ, წუწუნას ქოხის კედლები ჰქონდა დახეთქილი, მტირალას აივნის მოაჯირები აღარ შერჩენოდა. ყველაფერს მოვლა და შეკეთება სჭირდებოდა, მაგრამ ამისათვის აბა ვიღას ეცალა, როცა თოვლის მაგივრად ციდან გემრიელი ფაფა ცვიოდა?

მხოლოდ ერთი სახლი იდგა სოფლის განაპირას, კოხტა და ახალი: მაღალ ფეხებზე იყო შესკუპებული, ლამაზმოაჯირებიანი კიბე ჰქონდა და დიდი, სუფთა ფანჯრები. ამ სახლში ცხოვრობდა შეშისმჭრელი ბიჭი, ყოჩაღი ბაკური. მას ერთი ვეებერთელა ცული ჰქონდა, ყოველ დილას მხარზე გაიდებდა ხოლმე და მიდიოდა ტყეში. მთელი დღე დაუზარებლად მუშაობდა: ჭრიდა და ჭრიდა ხეებს, ამთბდა და ამზადებდა შეშას თავისთვისაც და ზარმაცი ეზოსტლეხსთვისაც. როცა მოსაღამოვდებოდა, დამზადებულ შეშას თოკით შეჰკრავდა, მოიკიდებდა ზურგზე და სოფელში

ბრუნდებოდა. დაინახავდნენ თუ არა შინისაკენ მიმავალ ბაკურს, ზარმაცები მოკნარებითა და ზმორებით შემოეხვეოდნენ გარს და იწყებდნენ ბურდღუნს, ბუზღუნს, წუწუნს და ტირილს.

— ბაკურ! გამომითალე ყველაზე დიდი კოვზი,—ამოკნარებდა ბუზღუნა-ზარმაცი და ხელებს განზე შლიდა,—აი, ამოდენა!

— ბაკურ!—აბურდღუნდებოდა ბურდღუნა,—მე უფრო დიდი კოვზი მინდა, აი, ამოდენა!—ისიც განზე შლიდა ხელებს და იზმორებოდა.

მერე წუწუნა-ზარმაცი აწუწუნდებოდა:

— მე რა დავაშავე? მეც მინდა ყველაზე დიდი კოვზი!

ბოლოს მტირალაც ატირდებოდა და წვიმასავით აფრქვევდა ცრემლებს.

კარგად იცოდა ბაკურმა ზარმაცების გაუმაძღრობის ამბავი, მაგრამ კეთილი ბიჭი იყო და უარს არავის ეუბნებოდა. ღამეებს ათენებდა, თლიდა და თლიდა კოვზებს და ურიგებდა მოხოვნელებს. იმ ღორმუცელებს კი უფრო დიდი კოვზები უნდოდათ, რომ უფრო ბევრი ფაფა ეჭამათ. ბაკურიც უფრო და უფრო დიდ კოვზებს თლიდა და თლიდა. ზარმაცები მაინც ვერ ძღებოდნენ ფაფით. ერთხელ ბაკურმა თქვა:

— ხვალ დილაადრიან წავალ ტყეში, მოვეკრი ყველაზე მაღალ ხეს და გამოვთალი უზარმაზარ კოვზებს. იქნებ მაშინ მაინც გაძღეთ, თქვე უქნარებო!

თქვა და აასრულა. დილას, როცა ზარმაცები ჯერ კიდევ ხმამაღლა ხვრინავდნენ, ბაკურმა გაიდო მხარზე თავისი ვეებერთელა ცული და გაუდგა გზას ტყისაკენ, ყველაზე მაღალი ხის საძებნელად. ამასობაში მამლებმაც გაიღვიძეს და ყიყლიყოს ძახილით სოფელს გათენება შეატყობინეს. ზარმაცებმა ყურიც არ შეიბერტყეს, ერთი გვერდიდან მეორეზე გადაბრუნდნენ და ხვრინვა განაგრძეს. მალე ცაზე ოქროსფერი მზე ამოგორდა, გადმოხედა ქვეყანას და ცალი თვალით ზარმაცების ქოხშიც შეიკეტა. პირველად ბუზღუნას გაეღვიძა, მერე—ბურდღუნას, ბოლოს წუწუნამ და მტირალამაც წამოსწიეს თავები. გამოვიდნენ გარეთ მოკნარებითა და ზმორებით. მოიმარჯვეს კოვზები და შეუდგნენ ფაფის ჭამას; არც დილა მშვიდობისა უთქვამთ ერთმანეთისათვის, არც ხელ-პირი დაუბანიათ, არც აბურძგნული თმა დაუვარცხნიათ.

— ხომ გაგიგეთ, რაც თქვა გუშინ ბაკურმა?—იკითხა ბურდღუნამ.—ყველაზე დიდ კოვზს ბურდღუნასათვის გამოვთლიო!

— არაფერიც!—აბუზღუნდა ბუზღუნა,—მე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მითხრა, შენ გამოგითლიო!

— სტყუი!—დაიწუწუნა წუწუნამ,—ყველაზე დიდ კოვზს მე დაჭეპირდა!

— არა, მეე!!!...—ატირდა მტირალა და წუწუნას კოვზი სდრუზა თავში. წუწუნამ ბუზღუნას სდრუზა, ბუზღუნამ—ბურდღუნას, ბურდღუნამ—მტირალას და იმდენ ხანს იჩხუბეს, ვიდრე კოვზები არ დაამტვრიეს და თავებიც არ დაუსივდთ. მერე შებრუნდნენ ქოხებში, დამტვრეული კოვზები გულში ჩაიხუტეს და დაიძინეს.

ბაკური კი ამ დროს ტყე-ტყე დადიოდა, ეძებდა და ვერ პოულობდა ყველაზე მაღალ ხეს. დაიღალა. მოშივდა კიდეც, მაგრამ იცოდა, რომ ტყეში ნამდვილი თოვლი იდო და არ იკმებოდა.

ოქროსფერი მზე სულ მაღლა და მაღლა ადიოდა ცაზე და შუადღისას ყველაზე მაღალი ნაძვის კენწეროზე წამოსკუპდა.

— აი, ის ხე, რომელსაც მე ვეძებ!—თქვა ბაკურმა, მოიმარჯვა ცული და ნაძვს ერთი ღონივრად შემოჰკრა. დაზანზარდა ნაძვი, გადმოვარდა მზე კენწეროდან და ჩაგორდა მთების უკან. დაბნელდა და აცივდა ტყეში. მგლებს ღამე ეგონათ, გაეღვიძათ და როცა ადამიანის სუნი ეცათ, ყმუილით გამოძვრნენ ბუნაგებიდან.

ბაკური ცოყვივით აცოცდა ყველაზე მაღალ ნაძვზე, ერთი მსხვილი ტოტი ამოერჩია და ზედ ჩამოჯდა. მოძუნძულდნენ მგლები, შემოხვევნენ გარს ბაკურის ხეს და დაუწყეს ღრღნა. დაკრიფა ბაკურმა გირჩები და დაუშინა მგლებს სეტყვასავით. მაინც არ შეშინდნენ მგლები, ღრღნეს ბაკურის ხე, ღრღნეს და... გადაღრღნეს. გაისმა ჭახანი, გადატყდა ხე, დაიწყო წაქცევა.

გაუხარდათ მგლებს, კბილებიც კი გააკრაჭუნეს, მაგრამ ნაადრევი იყო მათი სიხარული: ხე არ წაიქცა, იმიტომ, რომ მეორე ნაძვს მიეყუდა კენწეროთი. გადაძვრა ბაკური მეორე ნაძვზე, დაკრიფა იქაც გირჩები და დაუშინა ისევ მგლებს.

გამწარდნენ ხახამშრალად დარჩენილი მგლები, წაიჩხუბნენ და დაჭამეს ერთმანეთი. იცინა ბაკურმა, ჩამოძვრა სიცილით ხიდან და ნახა, რომ მგლებისაგან მხოლოდ კუდებიღა დარჩენილიყო.

ამოვიდა მთვარე და გაანათა ტყე. წააქცია ბაკურმა მგლების კბილებით გადაღრღნილი ნაძვი და თავისი ზარმაცი მეზობლებისათვის ოთხი უზარმაზარი კოვზი გამოთალა. მერე გაიდო კოვზები მხარზე, გაირჭო ცული ქამარში და შეუდგა შინისაკენ მიმავალი გზის ძებნას. ეძება, ეძება, მაგრამ ვერ იპოვა. რაღა უნდა ექნა?! აქ ვიცხოვრებო, გადაწყვიტა დაღონებულმა და შუა ტყეში ერთი პატარა და კოხტა ქოხი წამოჭიმა. წამოჭიმა და დასახლდა.

გავიდა დრო. სოფელში. რომელსაც ერქვა სასაცილო სახელი—ფაფა, ზარმაცებს შეშა გამოელიათ, შესცივდათ და მიხვდნენ მაშინ, რომ ბაკურმა დაიგვიანა. ისინი კიდევ უფრო გაზარმაცებულიყვნენ და უკვე ჭამა და ძილიც კი ეზარებოდათ. ისხდნენ მთელი დღე გაუნძრევლად და მთქნარებისაგან უბები სტკიოდათ.

ერთხელაც ბუზღუნა-ზარმაცმა თქვა:

— ვაი თუ მგლებმა შეგვიჭამეს ბაკური!

— რაღა გვეშველებაააა?!—ატირდა მტირალა.

— სხვა რა გზა გვაქვს?! უნდა მოვძებნოთ!—ჩაიბურტყუნა ბურტყუნამ და წამოდგა ფეხზე.

წამოიზლაზნენ დანარჩენებიც მთქნარებითა და ვაივაგლახით, გაიდეს მხრებზე დამტვრეული კოვზები და დაადგნენ ტყისაკენ მომავალ აღმართს. მიაბიჯებდნენ ზანტად და თან ტირილ-წუწუნით მიიმღეროდნენ.

გვეზარება სიარული, გინდ უკან, გინდ წინ,
მაგრამ ბაკურს თუ ვერ ვნახავთ,
ვინ გვიშველის, ვინ?!
ვინ გამოთლის ახალ კოვზებს?!
შეშას დაჭრის ვინ?!
მაშ გავუდგეთ, ზარმაცებო, გზას ტყისაკენ, წიინ!
მაშ ბაკურის საძებნელად. ზარმაცებო, წიინ!!!..

ამ სიმღერით შევიდნენ ულრან ტყეში.

— აუჰ! რამსიმაღლე ხეა!—თქვა ბურდღუნამ და მაღლა აიხედა.

ბუზღუნამაც აიხედა მაღლა და ისურვა:

— ნეტავ ამოდენა კოვზი მომცა, რამდენ ფაფას შევთქვლიფავდი!

— მშიაა!..—აწუწუნდა წუწუნა ზარმაცი.

— მეც მშიაა!—ატირდა მტირალაც.

დასხდნენ ძირს, მოიმარჯვეს დამტვრეული კოვზები და დაიწყეს თოვლის ჭამა; ფაფა ეგონათ, თოვლი კი ცივი იყო და ყველას ყელი ატკინა. შეეშინდათ ზარმაცებს, გადაყარეს კოვზები და განაგრძეს გზა. გათავდა აღმართი და დაიწყო დაღმართი. დაუცურდა ბუზღუნას ფეხი და დაგორდა გოგრასავით. ბურდღუნასაც დაუცურდა ფეხი და მიჰყვა უკან. მტირალა და წუწუნაც დაგორდნენ და ველარ ჩერდებოდნენ. იგორეს, იგორეს ზარმაცებმა და შეგორდნენ ბაკურის ქოხის ქვეშ. გამოვიდა ბაკური გარეთ. შეიხედა ქოხის ქვეშ და თვალებს არ დაუჯერა.

— აქ როგორ გაჩნდით, მეზობლებო?—იკითხა გაკვირვებულმა.

— როგორ და, შენ საძებნელად წამოვედით!—უპასუხა ბურდღუნამ და გადაეხვია ბაკურს.

— ყოჩაღ, ბიჭებო!—დაიყვირა ბაკურმა.—ვინც ახე შორს წამოსულა, იმას ზარმაცი ალარ ჰქვია! დასახლდით ისევ ჩემს მეზობლად და დავიწყოთ ახალი ცხოვრება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ ცივი ფაფა დევს,— ატირდა მტირალა,— ყელი მტკივა�ა!..

— რა ვქამოთ, აქ თუ დავსახლდებით?—აწუწუნდა წუწუნა.

— ეს ფაფა კი არა, თოვლია.—გაიცინა ბაკურმა.—ფაფა ჩვენ თითონ უნდა მოვამზადოთ.

— ქოხები რომ არა გვაქვს, რაში ვიცხოვროთ?—აჰყვა ბუზღუნაც დანარჩენებს.

— ქოხებიც ჩვენ თვითონ უნდა ავაშენოთ!—თქვა ბაკურმა, — თქვენ ხომ ზარმაცები აღარა ხართ?!

გაუბარდათ ზარმაცებს, რომ აღარ იყვნენ ზარმაცები და ციბრუტივით დატრიალდნენ: წაიკიეს ხეები, დაამპეს ფიცრებად და დაიწყეს ქოხების აშენება. როცა დაღამდა, დაანთეს დიდი კოცონი, მერე მთვარემაც გაანათა და მშენებლებმა გათენებამდე იმუშავეს. დილას კი, როცა ცაზე ოქროსფერი მზე ამოგორდა, ახალი სოფელი უკვე მზად იყო. გაუკვირდა მზეს, რომ ერთ ღამეში ამოდენა სოფელი გაჩნდა და იკითხა: „რა ჰქვია ამ სოფელს, ადამიანებო?“

ზარმაცებმა, რომლებიც ზარმაცები აღარ იყვნენ, თავები მოიქექეს და ვერაფერი უპასუხეს მზეს, იმიტომ, რომ სოფელს ჯერ სახელი არ ჰქონდა.

— მართლაც და რა დავარქვათ?—იკითხა ბუზღუნამ, რომელიც აღარ ბუზღუნებდა.

— ფაფა!—იყვირა წუწუნამ, რომელიც აღარ წუწუნებდა.

— არა!—თქვა ბურდღუნამ, რომელიც აღარ ბურდღუნებდა,—ფაფა ზარმაცების სოფელს ერქვა. ახალ სოფელს კი სახელიც ახალი ეკადრება!

— ვინ არის ყველაზე ყოჩაღი ბიჭი ქვეყანაზე?—იკითხა მტირალამ, რომელიც აღარ ტიროდა.

— ბაკური!—უპასუხა ყველამ.

— ვინ ააშენა პირველი ქოხი ამ სოფელში?

— ბაკურმა!—უპასუხეს იხევ.

— ჰოდა, ამ სოფელს უნდა დაერქვას ბაკურის სოფელი, ანუ ბაკურიანი!—თქვა მტირალამ, რომელიც მტირალა აღარ იყო.

მზემ გაიცინა და თქვა: „მეც აქ დავსახლდები, გავათბობთ და გზას გაგინათებთო!“

ზარმაცებმა, რომლებიც ზარმაცები აღარ იყვნენ, სიხარულით შემოჰკრეს ტაში და მზის გარშემო ფერხული გააჩაღეს. ბაკურის სიხარულს ხომ საზღვარი აღარ ჰქონდა...

იმ სოფელს დღესაც ბაკურიანი ჰქვია და მზე დღესაც ცხოვრობს იქ, სადაც აღარავის ახსოვს, რა არის სიზარმაცე.

(ა ზ ო ც ა ნ ა)

— სამი და ერთი რამდენია? — ჰკითხა მასწავლებელმა მოწაფეს.

მოწაფემ არ იცოდა და ვერ უპასუხა. მაშინ მასწავლებელმა იფიქრა, დავეხმარებიო და უთხრა:

— კარგი, ვთქვათ, მოგეცი სამი მტრედი, მერე კიდევ ერთი დაგიმატე. სულ რამდენი მტრედი გეყოლება?

— ხუთი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შინ კიდევ ერთი მყავს.

თოჯინები

გ. შეთეკაური

იცით, როგორ დაალაგა
თოჯინები ლელამ? —
ამ კუთხეში ქათამია,
იმ კუთხეში მელა.
მელამ რომ არ გაიწიოს
ქათმის შესაჭმელად,
მელას პირი იქით უყო,
მელა კუდიგრძელას.

რომ ქათამიც მელას ნახვამ
არ დააფრთხოს ხელად,
ისიც აქეთ მოაბრუნა —
კოხტა, ოქროსყელა.
აი, როგორ დაალაგა
თოჯინები ლელამ!

სეფია

გ. ქლდიაშვილი

უჰ, რა დიდი მოთოვა,
სიარული გაჭირდა,
დაფნის ბუჩქთან კანკალებს
საცოდავი ბაჭია.

თოვლმა გზები დაუხშო
ტეის ბატარა ბინადრებს...
—რა ქენა, —ტირის ბაჭია, —
სოროს ვეღარ მივაგნებ!

ნახატები **გ. როინიშვილისა**

ბიჭი შინისაკენ მანქანით მიდიოდა. გზაზე განგზილი შემოვლილია.

ბავშვებო, ასწავლეთ ამ ბიჭს ბინზინის ფარტილაკენ მიმავალი გზა. მაგრამ არ დაივიწყოთ ძურაში ოთხკუთხების ფესვები. ოთ იცით, სადაც ყოველ ფუძე ანთია, —გზა თავისუფალია. ფითელ ფუძეზე კი გავლა არ შეიძლება, გზა დაკეტილია.

ერთხელ

ლიდა სჯვილია

ერთხელ დაატრიალა
გია-ბიჭმა ბზრიალა...
მან კი ბებოს გარშემო
ცხრაჯერ შემოიარა.

თინუკნია

— რატომ ჩაიცვი კალოში?—ჰკითხა უფროსმა დამ ნუგზარს.—არც შინ და არც გარეთ ტალახი არ არის.

— დარდი ნუ გაქვს, მე მოვნახავ!—უპასუხა ბიჭმა.

ბაიკელა

ხალხური

იწვიდ, ბიწვიდ,
ნაბოლარა წიწვიდ.
აიტაკ, მაიხაკ,
ჩიტმა ფსვი,
შენი ფსვი, ფესვმანდური.
მოდი, დაუარ ფანდური.
აჯდეს-დაჯდეს მეფეს ჩაჯდეს!
ბიდა-ბუბლა, გადასუბლა.
ციყვს—ალაკი,
კატას—ბუდეთა!
სკივ და რიგ!

შე ეურცქვიტა, ეგ ისრები
ჯავშანშიც ვერ გამატანს.
მოგიხვეტავ, მერე ერთ-დ
ციცელს ხახლში კბეგატან!

ნახატი-ხუგრობა ე. ალბერტაძისა

ესეც მაგალ!

დოლი

მერი— დედიკო, ჩვენს მეზობელს მგონი სულაც არ მოსწონს, რომ ტომი დოლზე უკრავს.

დედა—რატომ გგონია?

მერი— რატომ და, წელან დანა მისცა ტომის და თან უთხრა, ნუთუ არ გინდა გაიგო, რა არის მაგ დოლის შიგნითო!



***

ძაღლი—ცუგო,
ფისო—კატა,
მთელი ეზო
დაისატა!

მაყვალა მრევლიშვილი

ეყეფაკა

პატარა სემი მამამ სასეირნოდ წაიყვანა. სემი სიხარულით ცას ეწია, მამასთან ერთად სეირნობა ძალიან უყვარდა. უცებ მათ ვეებერთელა შავი ძაღლი დაინახეს. ძაღლი აყეფდა. სემს შეეშინდა და შინ დაბრუნება გადაწყვიტა.

— ნუ გეშინია, სემ, — დაამშვიდა მამამ,— ხომ გაგიგონია ანდაზა: „მყეფარა ძაღლი არ იკბინებაო.“

— მე და შენ კი ვიცით, მამიკო, ეს ანდაზა, მაგრამ ძაღლმა თუ იცის?!—მიუგო სემმა.

ინგლისურიდან თარგმნა გოგი დოლიძემ

ნახატები თ. სამსონაძისა

გამოცანები

ვ. გვიმშიანი

კალათაში სამი მსხალი დევს. როგორ უნდა გავუნაწილოთ ისინი სამ ამხანაგს ისე, რომ ერთი მსხალიც კალათაში დარჩეს?!

***

ერთი კაცი ტყეში მიდიოდა, უეცრად ხმა შემოესმა:—მამი, შენ ჩემი მამა ხარ, მაგრამ მე შენი ვაჟი არა ვარ! ვინ ეძახდა მამას?!





რა და რა საგანია აქ დახატული?

ნახატები ირ. არდიშვილისა

ИНДЕКС 76055

6726/33

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲪᲘᲪᲐᲓᲔ ᲔᲗᲘᲛᲔᲡᲘᲡᲐᲛᲔ ᲪᲝ







ᲡᲣᲚ ᲘᲝᲚᲐᲓ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲓᲐᲐᲛᲖᲐᲓᲝᲗ ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲘ, ᲛᲐᲛᲐᲚᲘ, ᲛᲔᲚᲐ, ᲪᲮᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲗᲐᲡᲜᲐᲘᲠᲘ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ ᲐᲡᲐᲜᲘᲗᲘᲡ ᲦᲠᲘᲑᲘ, ᲥᲐᲗᲛᲘᲡ ᲑᲣᲛᲑᲣᲚᲘ, ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲘ, ᲙᲝᲠᲙᲘ (ᲪᲘᲪᲝᲑᲘ).

ᲐᲑᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲡ ᲛᲝᲘᲤᲘᲥᲠᲔᲑᲗ!

ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲐᲐᲙᲔᲗᲔᲗ

რედაქტორი ᲨᲐᲜᲘᲜᲣᲚ ᲩᲐᲠᲐᲙᲕᲘᲐᲜᲘ, სარედაქციო კოლეგია: Გ. ᲒᲔᲒᲔᲨᲐᲫᲔ, Კ. ᲑᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ჯ. ᲚᲝᲚᲣᲐ, ᲛᲐᲣᲠᲐᲚᲐ ᲜᲐᲛᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ (რედაქტორის მოადგილე), Ჯ. ᲜᲘᲜᲣᲐ, Შ. ᲪᲐᲮᲚᲐᲫᲔ (სამხატვრო რედაქტორი) რ. ᲞᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ხელმოწერილია ბეჭდვაზე ᲡᲡᲙ ცენტრალური კომიტეტისა და Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეროვნული

ყდაზე: „ᲨᲐᲛᲗᲐᲠᲘᲐ“ ნახატი Ჯ. ᲚᲝᲚᲣᲐᲡᲘ

ტექრედაქტორი Შ. ᲩᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გამოცემის ოფსეტურ ბეჭდვაზე წავიდა: რედაქციაში შემოსული მასალები აპტორებს არ დაუბრუნდებათ

გამოსაცემლად: „ᲜᲐᲪᲐᲚᲘᲡᲢᲘ“. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲗᲑᲘᲡᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲗ „ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ“. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 141. ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 2387. ᲢᲘᲠᲐᲟᲘ 5000. ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲢᲐᲜᲦᲐᲚᲐᲓ 15/XI-1963 Წ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲠᲓᲘᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲑᲐᲗᲐ“. ᲓᲘᲜᲘᲡ Ქ. № 14 „ᲓᲘᲚᲐ“ на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 91.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲥᲝᲜᲓᲘᲢᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 91, ტელ. 5-37-38.

ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.